№ 8 1863 წ. აპრილის 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა
№ 8

დაბარება შეიძლება ტფილისითგან: ი. კერესელიძის სტამბაში. ქუქიას, საკუთარს სახლში.

# გუთნის-დედა

გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ. ფასი ცისკარზედ პელის მომწერთათვს ერთი მანეთი, ხოლო სხვათათვს ორი მანეთი.

## მამულის მოქმედობის და ვაჭრობის გაზეთი.

წელიწადი მეორე.

ახლად გამოსული ნომერი კავკასიის საეკონომიო საზოგადოების ჟურნალისა.

შარშან მაისს აქეთ აღარ გამოსულიყო ეს ჟურნალი და ვინც არ იცოდა გარემოება ამგვარის დაგვიანებისა შეეძლო რა საკვირველია ეფიქრა, რომ ჟურნალი საუკუნოთ გამოესალმა ქვეყანასა სხვა უთვალავის მომმების მსგავსათ. ახლათ გამოსული ნომერი გვარწმუნებს, რომ ამთენი ხნის დაგვიანების მიზეზი ყოფილა «მალი და არ სიკვდილი» ჟურნალისა. ყოველივე ამბავი, რომელსაც კი მოგვითხრობს ჟურნალი, ცხადად გვიმტკიცებს, რომ სმინება ტკბილად' აღუშფოთებელად, დევის ძილით, და გამოფხიზლებულს ეჭვათაც არ მოსდის, რომ მთელი წელიწადი თითქმის დატრიალებულა, რაც იმას დაუძინია, და რომ ახლა არის ზაფხული ათას რვაას სამოც და სამისა და არა სამოცდა ორისა. პირველი სტატია ამ ნომრისა არის კრიტიკული გარჩევა უ. ფოვეგის სტატიისა სორგოს თესვაზედ, რომელიც იყო დაბეჭდილი შარშანდელის თიბათვის გუთნის დედის ნომერში, განხილვა მშვენიერი, სავსე მეცნიერებითა, მაგრამ დაგვიანებული; მეორე სტატია--გარდაქცევის შემთხვევაები მცენარის სამეფოში უ. სარქისოვისა, კიდევაც მშვენიერი სტატია, მაგრამ მველი და სრულებით უცხო იმ საგნისა, რომელიც უნდა ჰქონდეს თვალწინ ჟურნალსა; მესამე--პირუტყვის შენახვაზედ კავკასიის მხარეში «შეიცავს» ცხადს და დაურღვეველს ჭეშმარიტებაებსა და თუ გამოსულიყო შარშან ან უფრო ადრე აალდენდა ხაზინას უბრალოდ დიდით სუმის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაურასა; მეოთხე სტატია არის--შარშანდელ მოსავალზედ და ბოლოს განცხადებაები სხვა. და სხვა ჟურნალების გამოსვლაზედ, რომელნიც შარშან უნდა დაბეჭდილიყვნენ, რომ ვისთვისმე სარგებლობა მიეცათ სამაგალითო უწესოება ჰქონია ჩვეულებად ამ ჟურნალს იმთავით ამთავამდინ, მაგრამ შარშანდელს აქეთ იმის უზრუნველობა და დაუდევნელობა გადასცილდა ყოველს ზომასა და შეიქმნა უცნაურად თჳთ საქართველოს ჟურნალისტიკაშიაცა. ამ ნომრისათვის, რომელიც სრულებითა ჰგავს ტანით აღრინდელ ნომრებსა თუ გამოვრისცხავთ ვისტავკის კატალოგსა, რომელიც უნდა ყოფილიყო დარიგებული ჟურნალთან ცალკეთ და არ მიკერებული თჳთ ნომერშივე, ამ ნომრისათვის რედაკციას დაურქმევია ნომერი მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე, ესე იგი ოთხი ნომრის მაგივრათ რედაქცია აძლევს მკითხველებსა ერთსა და ეუბნება ოთხათ ჩააგდეთო! ვსთქვათ ამ გვარმა ხუმრობამ არავის არ მისცეს იოტის ზიანი, მაინც კიდევ დიდათ სასურველი იქნებოდა შეგვეტყო, თუ თჳთ რედაქციასაც დაუწერია ამ ხუმრობის შესაფერი ანგარიში იმ წყაროს ხმარებაში, რომელიც არის დანიშნული ჟურნალის გამოსაცემათ. სამი ნომრისა და ექვსის გამოცემას რა საკვირველია ისივე გარჩევა აქვს, რაც მთელსა და ნახევარსა, მაგრამ საუბედუროდ ამ საგანზედ რედაკცია იცავს სრულს მდუმარებასა.

დაუშრეტელი წყაროა ამ ნომრის გამოსვლა, ვისაც კი ჰსურს კიცხვა, სიცილი და სარსარი; უკეთესი საგანი აღარ არი საჭირო, რომ ახალმოდის ნიგილისტმა გამოსჭრას მახვილი, სავსე ირონიითა, აღტაცებული ფელეტონი და უშხაპუნოს ჟურნალსა ხან თავში და ხან ფეხებში. მაგრამ ჩვენის ჰაზრის კიცხვა და დაცინება იმგვარი მალამო არ არის, რომ ყოველგვარს სენს მოუხდებოდეს და ყველა ჭირს გააქარვებდეს: აწინდელი შემთხვევა ღირსია, რომ შეურჩიოთ მკვიდრი რამ ღონისძიება, თორე კიცხვა სულ არაფერს გაარიგებს. ამასთან რუსულ--რედაქციაზე ქართული სატირა იქნებოდა სრულად უაზრო და თჳთონვე შეიქმნებოდა სასაცილო, რადგანაც რუსები არ კითხულობენ ქართულს ჟურნალსა; ჩვენ ქართულის მკითხველებისათვის ვჰსწერთ ამ სტატიასა.

ნათქვამია ცოდვისა და გარდამავლობის პასუხის მიმგები არის ის საზოგადოება, რომელშუაც უცხოვრია გარდამავლობის მოქმედსა, და არა თჳთ მომქმედი კაციო. არვიცით რამდენათ გამოდგება ეს ჰაზრი სასამართლოებში სხვა და სხვა გვარის საქმეების გარდასაწყვეტლად, მაინცკი შემთხვევა, რომელზედაც ვლაპარაკობთ, ჩვენის ჰაზრით, ამტკიცებს ამ წინა-

დადების ჭეშმარიტებასა, ვისი ბრალია, რომ ან ადრე ან ახლა ესე უწესოთ გამოდის ჟურნალი კავკასიის საეკონომიო საზოგადოებისა? თუ რედაქცია არის ამ საქმეში ბრალეული, ჩვენა გვგონია, რომ თჳთ საზოგადოებას უნდა ეკითხოს ერითი ათათ, რადგანაც ის ითმენს ამ გვარს უწესუებასა; ამთენი ხანი არ გამოდიოდა ჟურნალი და არც ერთმა მწევრმა არ გამოაცხადა თავისი უკმაყოფილება, არავინ მოიკითხა, თუ რა მიზეზით არ გამოდის ჟურნალი, რა დაემართა რედაკციასა, ან როგორა ჰბედავს რედააცია, რომ ასე უპატიოთ ექცევა მკითხველებსა? ყური არავინ გაიბღერტა, და რასაკვირველია რედაკციასაც უნდა ჰგონებოდა, რომ ცუდს არაფერს შვრება. ცხადია, რომ თუ მკითხველებს ე. ი. კავკასიის საეკონომიო საზოგადოების მწევრებს მოეთხოვნათ: რედაკციისაგან აღხსნა ამ გვარის ქცევისა და ხმა მაღლა გამოეცხადებინათ თავიანთი საჩივარი, მაშინ ჟურნალი ვერ დასტკბებოდა ისეთი ხანგძლივი ძილითა, რომლითაც ეძინა აქამდისინ. გულგრილობა, და დაუდევნელობა მკითხველებისა იფარავდა ამ უწესობასა, და ბრალიც იმათია. ძველი ანდაზა იტყვის, როგორიც მღვდელია, ისეთიც ერიო. ჩვენის ჰაზრით, ეს ანდაზა უკულმათ ნათქვამი უფრო მართალი იქნებოდა ე. ი. როგორიც ერია ისეთიც მღვდელი, კარგი ერი ცუდ მღვდელსვერ იმშვნევს და ცუდი ერი თჳთ სამაგალითო მღვდელსაც წაახდენს. ამ ჰაზრს დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო საქმეების წარმართებაში და თუ ერი თითონ ვარგისია, უვარგისი ვერავინ დააწვება კისერზედ ვერც მღვდელი, ვერც რედაკტორი, ვერც ქვესა და ვერც სხვა მოსამართლეები და საზოგადოების საქმის ამასრულებლები.

ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ რედაქცია საზოგადოებისა და იმის თანამშრომები არიან სავსე კეთილის განზრახვითა და შრომის სიყვარულითა, და თუ აქამდის სასარგებლო მოქმედება მათი შესაბამათ არ გამოჩენილა, ამისი მიზეზი არის მხოლოდ გულგრილობა საზოგადოებისა. თუ მთელი წელიწადი ჟურნალი არ გამოდიოდა და არავინ იჩივლა იმის გამოუსვლელობაზედ, ცხადია, რომ ჟურნალს არავინ კითხულობს და არავინ ელოდება იმისგან სარგებლობასა. აბა როგორ გავამტყუნოთ ან რედაქცია, ან იმის თანამეშრომეები სიზარმაცისათვის, თუკი მათ მოქმედებას არა აქვს საზოგადოების მხრივ არა ვითარიმე ყურადღება? ძალიან კარგია გავრცელება სამშობლო მამულში სასარგებლო ცოდნისა და დიდის ხალისით სურს ყველასა, რომ საზოგადოთ გამოაცხადოს ან თუ იცის რამ სასარგებლო, ან აქვს შეტყობილი, ნახული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასწავლი, მაგრამ აბა ვის უქადაგოს თუკი არავინა ჰყვავს ყურის მგდებელი. ამისთანა გარემოებაში სტატიის დაწერა უნდა შეიქმნეს უნაყოფო, აბეზარი და მძიმე შრომა; ისევ ჩხაპნა სჯობია კანცელარიის ქაღალდებისა, ვინამ დაწერა სტატიისა იმ ჟურნალისათვის, რომელსაც არავინ კითხულობს. კავკასიის ჟურნალი აქამდინ ვერ იცხოვრებდა, რადგანაც არა კითხულობენ ის პირნი, რომელთათვისაც არის დანიშნული ე. ი. საქართველოს მამულის პატრონები, მაგრამ ჟურნალს აქვს სხვა წყარო, ხაზინის შემწეობა, რომელიც კმა~~რობს დაბეჭდვის ხარჯად და ეს არის~~ მიზეზი, რომ აქამდისინ რედაქციამ თავი არ დაანება გამოცემასა, გულგრილობა საქართველოს მამულის პატრონებისა არის ფაქტი უეჭველი, მაგრამ რაში მდგომარებს მიზეზი ამ გულგრილობისა, ჟურნალის ღირსებაში, თუ თვით მამულის პატრონებში? ბოლონდელი ჩვენა გვგონია ყველაზედ უმართლესად, ჟურნალიდამ ხთასში ერთხელაც არი გაიგონებდენ სასარგებლოს რასმე, თუკი ვინმე ფიქრობს სარგებლობისათჳს, და თუ ეს ვისმე უჩანს საეჭოთ ჩუჱნ შეგვილიან მოვიყვანოთ სხჳა მაგალითი, უფრო ცხადი და უფრო დამარწმუნებელი. ჩუჱნი მამულის პატრონები გულ გრილნი არიან როგორც მოხსენებულს ჟურნალზედ ისეც თჳთ საეკონომიო საზოგადოებაზედ. საკჳრველია ეს გულგრილობა, სწორეთ თავის ქონებაზედ ჴელის აღებასა ჰგავს.--ნიშანი მეტის მეტი სიმდიდრისა. რა არის კავკასიის საეკონომიო საზოგადოება? მართებლობა აძლევს ექჳსას თუმანსა წელიწადში ჩვენს მამულის პატრონებსა და ეუბნება: შეიყარენით რამთენიმე ერთათაო, მოილაპარაკეთ თქუჱნის მამულის საჭიროებაზედაო, შეადგინეთ საზოგადოებიო, ამოირჩიეთ ვინც გინდათ მთავრათ, ვინც გინდა მწევრათ და თანამეშრომეთ და რაც რამ სასარგებლოთ ირჩიოთ თქუჱნთს მამულის უკეთეს მდგომარეობაში მოყვანისათჳს იმაზედ დახარჯეთ ეგ ექჳსასი თუმანიო. აი დასაბამი და არსება კავკასიის საეკონომიო საზოგადოებისა. მთავრობა აძლევს ფულსა და თავისუფლებასა ორ ნივთს, რომლისათჳსაც თავს ისოცავს მრთელი ქვეყანადა რომელმაც მსურველი ვერ იპოვნა ჩუჱნ მამულის პატტრონებში. ეს საზოგადოება როგორც გვითქუამს უნდა ყოფილიყო შედგენილი ბევრ წილად მამულის პატრონებისაგან; შეიძლებლდა მიეწვივათ რამდენიმე გარეშე პირნიცა, უმამულონი, მაგრამ მცოდნენი მამულის პარონობის საქმეში და თავიანთი ცოდნით სასარგებლონი საზოგადოებისათვის. სხვა ხალხის შემვება საზოგადოებაში უნდა ყოფილიყო სრულათ უადგილო. მინამ ვორონცოვი, დამფუძნებელი

საზოგადოებისა, იჯდა ნამესტნიკათ და თვით იარჩბოდა კრებაში. ჩვენის მამულის პატრონებს კიდევ ჰქონდათ ცოტარამ ყურადღება საზოგადოებაზედ და მრავალნი იმათგანი ირიცხებოდნენ მწევრად; ვორონცოვის შემდეგ სრულად ხელი აიღეს.

ბოლონდელ სადღესასწაულო კრებაში, რომელშიაც უნდა აღმოერჩივათ თანამდებობის აღმასრულებელნი პირნი, ოცდა შვიდ მწევრთაგან სულ სამი კაცი მლივ იყო მამულის პატრონებთაგანი; დანარჩომი იყვნენ ჩინოვნიკები. იმიტომაც ჩამოვარდა ლაპარაკი საზოგადოების დაკეტვაზედ; მამულის პატრონების უყურადღებობა მეტად ცხადათ იყო გამოჩენილი, რომ მთავრობას არ ეთქვა, რაკი თქვენ არა გსურთ მოხმარება თავისუფლად საზინის ფულისა, მეც რაღათ გამლიო, ისევ მე მქონდეს და, თუ მერე ვისმე დასჭირდება, მევე მთხოოსო. ლაპარაკი იმით გადასწყდა რომ ერთი წლით კიდევ გაუშვას საზოგადოება--იქნება ცვლილება მიეცესო.--ვინ იტყვის უარს, რომ თუ ამ საზოგადოებისათვის ყური დაეგდოთ ჩვენს მამულის პატრონებსა, მიუცილებელად ექმნებოდათ სარგებელი. ექვსასი თუმანი დიდი ფული არ არის, მაგრამ მაინც კიდევ ამითიც შეიძლებოდა ბევრი სასარგებლო საქმის მოხერხება: თესლეულის და მაშინების დაბარება, სასარგებლო წიგნების დაბეჭდვა და დარიგება. სხვა და სხვა გამოცდილება, რომელიც არის მძიმე კერძო მამულის პატრონებისათვის და სხვა. ამას გარდა ამ საზოგადოებაში რომ შეკრებილიყვნენ მამულის პატრონები, რიგიანათ დაეწყოთ რჩევა და ძიება საზოგადო სარგებლობისა, განესაზღვრათ მართალი საჭიროება და ნაკლულევანება აქაურის მამულის პატრონობისა, უეჭველია, რომ მათ თხოვნაზედ და გამოცხადებაზედ არ დარჩებოდა უყურადღებოთ თვით მმართებლობა სასოფლო მამულისა და მისცემდა შემწეობასა. ნამდვილი საპრაქტიკო ჭეშმარიტება სახარების სიტყვაში: «მცირესა ზედა სარწმუნო იყავ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ.»

ბევრი მამულის პატრონი იტყვის: მე საიდამ მივიღო მონაწილეობა საზოგადოებაში, წელიწადში სულ ორჯელ ვერ ჩამოვალ ხოლმე ტფილისშიო! განა ტფილისში ყოფნა საჭიროა, რომ კაცი იყოს თვით მოქმედი და ხალისიანი მწევრი საზოგადოებისა? მაშ წიგნი და წერა რათ არის გაჩენილი, თუკი ყოველს შემთხვევაში პირათ არის საჭირო გამოცხადება ჩვენის ჰაზრისა და სურვილისა? ყოველს მამულის პატრონს შეუძლიან, რომ შინადამ კარში ფეხ გამოუდგმელად, გამოაცხადოს კრებაში თავისი სურვილი და მიიღოს მონაწილეობა ყოველს საზოგადოების რჩევაში და ამორჩევაში; წიგნის დაწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერის მეტი აქ საჭირო არა არისრა--მაგრამ ნათქვამია, «თუ გული გულობდეს, ქადა ორი ხელით იჭმებაო». ბევრი მამულის პატრონი წლის წლობამდის ჰსცხოვრობს თბილისში და თავის დღეში არცკი მიიხედავს საზოგადოებისაკენ. . ,.

ჩვენ გამოვიძიეთ საზოგადო მიზეზი, რომელსაც უნდა მიეწეროს უწესო და უდროოთ გამოსვლა მოხსენებულის ჟურნალისა: შარშან დეერთო სხვა კერძო მიზეზებიცა. რედაქტორი მისი უ. ნენნინგერი დაბრუნდა რუსეთს და ჟურნალი ჩააბარეს დროებით სხვა პირსა, რომელიც უამისოთაც იყო დატვირთული სხვა თანამდებობის საქმეებითა. აქედამ წარმოდგა დაგვიანება ჟურნალის შედგენისა; ამასაც ზედ დაერთო უწესობა ენფიანჯიანცის ტიპოგრაფიისა, რომელშიაც იბეჭდებოდა აქამდის ჟურნალი. იქნება არავინ დაიჯეროს, რომ საკვირველი სტამბა ესე, შეუდგა ახლად გამოსულის ნომრის ბეჭვდასა შარშან ნოემბრის დამდეგს და სრულ--ჰყო წყალობითა ღვთისათა აპრილის გასულს, აწინდელს ათას რვას სამოც და სამსა წელსა. თვალით რომ არ გვენახა ამას, ჩვენც ვერ დავიჯერებდით. ბოლონდელ კრებაში უ. ნენნინგერის მაგივრათ ამოირჩიეს უ. სიტოვსკი, სეკრეტრად საზოგადოებისა და რეტაკტორად ჟურნალისა; ტიპოგრაფიაც უკეთესი იშოვნეს, და ესრეთ კერძოთი მიზეზები დაგვიანებისა აღარ ექნება ჟურნალსა; საზოგადონიდა დარჩებიან შეურყევლად, თუ ჩვენი პომეშჩიკები არ მოინდომებენ მონაწილეობის მიღებასა.

ი. ს.

---

მოქმედება ტყისა ჰავაზედ და მიწის ნაყოფიერებაზედ.

წარსულ ნომერში ჩვენი სტატია დავაბოლოვეთ იმ ამბითა, თუ როგორ უშვრებს მდაბიო ხალხი ბულაყებზედ ნადგომს ხეებსა. თუკი ჩრდილი ორიოდ ხისა დაიფარავს გაშრომისაგან ბულაყისა, რასაკვირველია, რომ ესევე მოქმედება უნდა ჰქონდეს დიდ ტყესა შესახებ წყაროებისა, ხევის წყლებისა და მდინარებისა. მაშასადამე ტყის გაკაფასა უნდა შეუდგეს დაკლება წყლებისა და ზოგჯერ სრულიადი მათი დაშრობა. ამ გვარი მაგალითი მრავალია ისტორიაშიაც და ჩვენ დროშიაც. ტყის გაკაფვას ყოველთვის დასდევს წყლების დაშრომა და წვიმების დამვირება. ძველს ტროადში (ოსმალოში) ყოფილა დიდი მდინარე სკამანდრა, რომელშიაც შვლიათ ნავებსა მეორე საუკუნემდის; ახლა ცვარი წყალი აღარ მოდის იმის ადგილას, რადგანაც გაუკაფიათ ტყე იმ მთებზედ, სადაც ჰქონია სათავე სკამანდრის მდინარესა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა დიდრონი მდინარეებიცა, მოხსენებულნი ომიროსისაგან: სახელდობრით: რეზეს, ჰეპტაპორუს, კარეზეს, როდიუს ისე დამშრალან, რომ ჩვენს დროში იმათი კვალიც ვეღარავის უპოვნია. შატობრიანი, ჩინებული ფრანციელი მწერალი, ანბობს; პამიზუზში, რომელიც იყო ადრე უდიდესი და ღრმა მდინარე პელოპონეზისა, პატარა ნავი ვერ გაატარეო, თუმცა ამ ნავს ორიოდ გოჯი წყლის მეტი არ უნდოდაო, ჩვენ დროებაშიაც ბევრი მაგალითი გვიმტკიცებს ტყეების გავლენასა წყლის სიუხვეზედ და კლებაზედ. ვენესუელაში (ერთი მხარეა ამერიკისა) არის ერთი ტბა, რომელსაც არა აქვს ზღვაში გასავალი. ამ საუკუნოს დასაწყისში იქა ყოფილა ჰუმბოლტი, სახელოვანი მეცნიერი, და ხალხისაგან შეეტყო, რომ ტბა უკან-უკან იწევს და შორდება ნაპირებსაო. ამასთანავე ენახა, რომ ბოლონდელ დროში ტბის ახლო გაეკაფათ დიდრონი ტყეები და გადაექციათ სახნავ სათესათა, და ეს გამხდარიყო მიზეზი ტბის კლებისა. ოც და ხუთი წლის შემდეგ იმავე ადგილს მისულიყო ფრანციელი ბუსენგო და ენახა რომ ტბას უმატნია და მოსულა ისევ ძველ ნაპირეებამდინ, მაშინ იმ ადგილას აღარა ყოფილიყო იმდენი ხალხი, როგორც ჰუმბოლტის დროს; ნახნავებისათვის დაენებებინათ თავი და ისევ ტყეთ გადაქცეულიყვნენ ტბის გარშემო ადგილები. ოცდა ხუთი წლის განმავლობაში ესეთი საკვირველი მოქმედება გამოუჩენია ტყიანობას და უტყეობას.

უ. ბუსენგოს გაეშინჯა სხვა ბევრი ტბებიცა და ყველგან შაემცნია ერთი და იგივე მოქმედება ტყისა. სადაც ტბის გარშემო ადგილები ხელ უხლებათ ყოფილა დაცული ტყითა, იქ ტბა მდგარა წყლით სავსე და უკლებელი; სადაცღა დაუმიშვლებიათ ნაპირები, იქ ტბას უკლია და გაუშვია ნაპირებზედ დიდრონი რიყეები.

შვეიცარიაშიაც ტყეების გაკაფვასა და ნახნავების გავრცელებასა აქვს იგივე მოქმედება: ბოლონდელ დროში რამთენი ტბები გამქრალან სრულიად წყლის კლებითა, ანუ დაყოფილან ნაწყვეტ ნაწყვეტად.

ჟენევაში, იმ ადგილას, სადაც ახლა დგას მშვენიერი შენობაები და უმჯობესი ქუჩები; ათასი წლის წინათ მდგარა ტბა, როგორც გვიმტკიცებს ისტორია.

ისპანიის სატახტო ქალაქი მადრიდი, დგას მანსანარესის მდინარეზედ, რომელიც მეექვსე საუკუნემდინ ყოფილა ისეთი ღრმა და განიერი, რომ თვით დიდრონს ხანდლებს უვლიათ შიგა; ახლა ჭერის წყლის ტოლა ძლივს არის და ზაფხულით სრულათ შრება.

საეჭვოა, რომ ჩვენი ქვეყანა ასცდენოდეს ამ საზოგადო ბუნებითს სჯულსა. ჩვენშიაც. რომ ჩვეულებათ ყოფილიყო ქვ-

როჰაელებსავით დაწერა ისტორიათ და შენახვა ჩამომავლობისათვის ყოვლის შესანიშნავის საქმისა, ომებისა და მეფეების ცხოვრების გარდა, მაშინ იქნება არ მოგვენდომებინა არც ამერიკაში და არც ისპანიაში წასვლა, რომ ცხადად დაგვემტკიცებინა ჩვენის მკითხველებისათვის მოქმედება ტყისა წყლების სიუხვეზედ. იქნება მაშინ შეგვეტყო, თუ რა მიზეზით დარჩომილან უწყლოდ მრავალი დიდრონი ხევები, რათ ან ოხრებულან და გამხდარან უდაბნოთ ადგილები, სადაც ადრე მდგარან დიდრონი ქალაქები და სოფლები, რათ აუდიათ ხელი მრავლის ნახნავებისა და სათიბი ადგილებისაგან, რათ გახშირებულა ზოგერთ ადგილის გვალვა, რათ გამქრალან წყაროები... მაგრამ ჩვენი ისტორია ამისთანა წვრილმანს საქმეს არ გამოსდგომია და ბუნების მეტყველი იმაში ვერ იპოვნის სანოვაგესა... მაინცკი არა მგონია ვინმემ უარ ჰყოს, რომ ჩვენ ქვეყანაში ადრე ტყე უფრო ხშირი ყოფილა, ვინამ ჩვენ დროებაში; მაშასადამე ისიც უეჭველია, ადრე წვიმაც ხშირი ყოფილა, მდინარესა და ხევებს უფრო უხვად ჰქონიათ წყალი და წყაროები უმრავლესი ყოფილა ახლანდელზედ. სადაც ხალხი ხშირად ყოფილა შეგროვებული, როგორც ვთქვათ თბილისში, იქ უფრო მალე გაუკაფიათ ტყეები და იქ უფრო ცხადათ ჰსჩანს უტყეობის მოქმედება ჰავაზედ და მიწის მოსავალზედ. ტიტველა მთები და ბორცვები თბილისის გარემორტყმულნი უეჭველად ყოფილან როდისმე შემოსილი ტყითა და იმათ ძირს ქვეშ გაშლილს ვაკეებსა უხვათ ჰქონიათ სარწყავი წყალი. ამ ორი წლის წინათ ჩვენ მოვიარეთ განჯის უეზდი და ყველგან ხეობაში, რომელნიც დასცქერიან ტკვრის ვაკესა, გვეუბნებოდნენ, რომ ეს თხუთმეტი წელიწადია, რაც გვალვა ისე გახშირდაო, რომ დამიის დათესა აღარაფერი სარფა არ არისო (*). მიზეზი ცხადია. ამ თხუთმეტ წელიწადში განჯის ტყეები თითქო განახევრდა: ზოგი გაწყვიტეს იმ ადგილს გადმოსახლებულმა მალაკნებმა ზოგი იმისაგან გაქრა, რომ ამ ბოლო დროს მალიან დაუწყეს ხე-ტყეს ზიდვა ერევანში. მაგრამ ბევრი წილი უფრო იმისაგან დამცირდა, რომ ზამთრივ განჯელები და ყველა იმ უეზდის მცხოვრებლები ტყით ანარჩუნებენ საქონელსა; ნეკრის გულისათვის დიდრონ ხეებს ჰსჭრიან ძირში და ზედ უშვებენ საქონელსა, რამდენი ხე უნდა წახდეს იმ ადგილას, სადაც ნეკრით ჰკვებენ ასი ათას ძროხასა, წვრილფეხ საქონელს რომ თავი დავანებოთ!

(*) დამიას თათრები უწოდებენ იმ მაღლობ ნახნავებს, სადაც ურწყავად მოდის მოსავალი; სარწყავ ადგილებს არანა ჰქვიან.

Дозволено ценсурою. Тифлисъ. 15 Апрѣля 1863 г.

რედ. კერესელიძე.